

## პრეზიდენტი

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი დაარსდა 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის 12 დეკემბრის განკარგულებით, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე.

2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზენები და ფუნქციები:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) მეცნიერული კვლევა, მისი პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორცილებული პროექტების ექსპერტიზა; საინვენტარიზაციო–სააღრიცხვო საქმიანობა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; საზოგადოების ინფორმირება; საკონსერვაციო და კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება; სახელმწიფოს დახმარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებაში, კერძოდ:

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის სფეროებში;
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, გებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები; მედია პროდუქცია და სხვ.);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;

- კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოძრავი და უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი კულტურული ღირებულებების დადგენის მიზნით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო მუშაობას წესდების შესაბამისად წარმართავს სამეცნიერო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. დიმიტრი თუმანიშვილი; თავმჯდომარის მოადგილე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მზია ჯანჯალია; სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქეთევან მიქელაძე. ცენტრის დირექტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მარიამ დიდებულიძე, დირექტორის მოადგილე – იურისტი ლევან ზედგინიძე.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის სტრუქტურა:

სამეცნიერო ნაწილი – ორი განყოფილება:

- **ძველი ხელოვნების განყოფილება** (განყოფილების გამგე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორობი – დავით ხოშტარია);
  - **ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილება** (განყოფილების გამგე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – მარინა გახეჩილაძე);
- არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორი (გამგე – გურამ ქლებაძე);
- ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი (ხელმძღვანელი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – თამაზ დვალი).
- ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია (გამგე – მარინა ფირცხალავა).

2014 წელს ცენტრში ირიცხებოდა 83 თანამშრომელი: 7 მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, 28 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 28 – მეცნიერ-თანამშრომელი; ადმინისტრაცია და დამხმარე პერსონალი – 20. 2014 წელს ცენტრში სტაჟირებას გადიოდა 5 ახალგაზრდა მეცნიერი.

**გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა  
და ძეგლთა დაცვის ეროვნული პლატფორმის ცენტრში 2014 წელს  
განხორციელდა გამზირი გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობა**

## **სამეცნიერო პლატფორმა:**

1. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება
2. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება
3. შუა საუკუნეების ქვისა და ლითონის ქანდაკება
4. შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა
5. შუა საუკუნეების ხატწერა
6. პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება
7. კულტურათა დიალოგი
8. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების გზა
9. ქართული სცენოგრაფია
10. ახალი არქიტექტურის განვითარების ისტორია
11. საარქივო მასალის დამუშავება და კვლევა

### **1.1. ფინანსირების სახელი ხანის ხელოვნება**




- საქართველოს ლითონის სარტყელთა გრაფიკული დეკორი და მისი გენეზისი (2013-2014), ნინო ბომელაშვილი დამუშავებული საკითხები შეეხება საქართველოს უძველეს სარტყელთა (ძვ.წ. II ათასწ. დასასრული) დეკორის კულტურულ ატრიბუციას, სარტყელთა სემანტიკას, წინააზიაში ლითონის სარტყელთა დამზადების ტრადიციასა და მის საწყისებს.
- ქოლხური ცულების გრაფიკული დეკორი (2014-2016), მარიამ გაბაშვილი გრაფიკული დეკორით შემკულ ქოლხურ ცულებზე გრავირებით შესრულებული ზორმორფული (სამ შემთხვევაში – ანთორპომორფული) და მრავალფეროვანი ორნამენტული გამოსახულებებია გადმოცემული. მათი მხატვრული გენეზისის, სტილისა და თავისებურებების გამოვლენა, პირველ ყოვლისა, მათ სტილურ დაჯგუფებას და შემდგომ ანალიზს ეყრდნობა. საკვლევი თემის პირველ ეტაპზე

2014 წ. შესრულებული სამუშაო მთლიანად მოიცავს ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას.

• **გონიოსა და კლდევეთის ოქროს ბალთები, შეთევან მიშმლამე**  
ნაშრომში განხილულია ახ. წ. II-III საუკუნეების ოქროს ბალთების ორი ჯგუფი, რომელთაგან ერთი აღმოჩენებია კლდევეთში, მეორე – გონიოში. კლდევეთის ათი და გონიოს ოთხი ბალთის მხატვრული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა მათი თავისებურებანი და ურთიერთკავშირი; გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს ბალთები ერთ მხტრულ-კულტრულ წრეს მიეკუთვნებიან.

## 12. შუა საუკუნეების არქიტექტურა



### • **დასავლეთ საქართველოს IV-VI საუკუნეების არქიტექტურა: კვლევის წერილობითი წყაროები, დავით ხოშტარია**

წლიური თემის ფარგლებში დამუშავდა პროექტი კესარიელის, ეპიფანე კონსტანტინოპოლესის, იუსტინიანეს, აგათია სქოლასტიკოსის, პასქალური ქრისტიანული სახელმწიფო და ასევე ქართულ წყაროთა ცნობები IV-VII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე მშენებლობების შესახებ. წერილობითი ცნობების ანალიზით შესაძლებელი გახდა ცალკეული საეკლესიო და საფორტიფიკაციო ნაგებობების აგების თარიღის დაზუსტება.

### • **წმ. ნინოს და წმ. მირიან მეფის სვეტიცხოველი, თამაზ სანიკომე**

ნაშრომში არქეოლოგიური და ისტორიული მასალების ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია ვარაუდი, რომ პირველი სვეტიცხოვლის ტაძრის (IV ს-ის 20-30-იანი წლები) გეგმა და სტრუქტურა თითქმის სრულად იმეორებდა წარმართული (მზის) ტაძრების ზოგად ფორმებს. ვარაუდი დასაბუთებულია ქვეყანაში იმდროინდელი სარწმუნოებრივი ვითარებით და ილუსტრირებულია სათანადო გრაფიკული ჩანახატებით (რეკონსტრუქციებით). ნაშრომი დასრულებულია.

### • **თისელის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი, შეთევან აბაშიძე-დადიანი**

თისელის ტაძარი გამოკვლეული აქვს ვ. ბერიძეს (სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 167-190.). ტაძრის დათარიღება – XIV ს-ით ძირითადად ხუროთმოძღვრული თვისებებით განისაზღვრება. ახალი კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე სამშენებლო ფენა. თავდაპირველი ტაძარი ორნავიანი ეკლესია, ჩრდილოეთით მიშენებული ეგვტერით, რომლის ქვეშ კრიპტა აღმოჩნდა. ამ პერიოდის ტაძრის თარიღი VIII-IX სს.-ით განისაზღვრა. X ს-ში ჩრდ. მინაშენიდან გაიჭრა კარი და ტაძარი გადაკეთდა ორნავიან ბაზილიკად, ჩრდ. მინაშენით, ან სამნავიან ბაზილიკად გადაკეთეს. გამორიცხული არ არის, რომ X-XI სს.-ში ის ჯვარგუმბათოვან ეკლესიად გადააკეთეს. XIII ს-ის შუა სანებში

ამ, რამდენჯერმე გადაკეთებულმა ტაძარმა სერიოზული ნგრევა-დაზიანება განიცადა. სავარაუდოდ ეს უნდა მომხდარიყო 1275 წ. (ან 1283 წ.) მიწისძვრის დროს. თისელის ტაძარი XIV ს-ში აღადგინეს ცენტრალურ სივრცეში მრავალსაფეხურიანი ბურჯებისა და მძლავრი თაღების ჩაშენებით.

- **ეკის საფარცვანის მაცხოვრის ჯვრის უცნობი ეკლესია (2014-2015), ირინი ელიზაბარაშვილი**

სოფელ ეკიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე, აღმოსავლეთით, მაღალი მთებით გარშემორტყმულ გარემოში, საფარცვანის მაცხოვრის ჯვრის სახელზე აგებული არქიტექტურული კომპლექსია განთავსებული. ეკლესია დღემდე უცნობი და გამოუკვლევია. მძიმე ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, მას ყველა საკვანძო მნიშვნელოვანი ნაწილი აქვს შემორჩენილი. გეგმით იგი წარმოადგენს ვარიაციას თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიათა თემაზე. ეს არის უგუმბათო ნაგებობა, რომლის სამი (სამხ. ჩრდ. დას.) მკლავი შვერილია, აღმოსავლეთით, კი მხოლოდ საკურთხევლის კედელი წახნაგოვანი რკალის სახით არის გამოშვერილი ფასადზე. ეკლესიის დასავლეთი მკლავი კარიბჭით სრულდება. კვლევის შედეგად დადგინდება ეკლესიის ასაკი და გამოიკვეთება მისი მხატვრულ-სივრცობრივი თავისებურებანი.

- **ეკის ნათლისმცემლის მონასტერი (2014-2015), ციცინო ჩაჩხუნაშვილი**

ეკის ნათლისმცემლის მონასტერის (სენაკის რაიონი, სოფ. საადამიოს მიდამოები) 1980-იანი წლების დასაწყისის პუბლიკაცია მეტყველებს, რომ დღეს მონასტრის მრავალი არქიტექტურული დეტალი აღარ არსებობს. სამონასტრო კომპლექსს დანაკარგები ჰქონდა მოდევნო ხანაშიც. კომპლექსის გაღრმავებული კვლევისათვის 2014 წელს დამუშავდა საარქივო და საისტორიო მასალა, გამოვლინდა საინტერესო კავშირები აფხაზეთან, რამაც არქიტექტურაზეც მოახდინა გავლენა. ძეგლის მძიმე მდგომარეობა მოითხოვს გადაუდებელ საკონსერვაციო სამუშაოებს და ხელოვნებათმცოდნის მონაწილეობას რეკომენდაციების შესამუშავებლად.

- **გარეჯის მრავალმთის დოდო-რქის მონასტრის ბოლნურჯვერიანი გუმბათური ეკლესია და მისი კომპლექსი: გარეჯის მრავალმთის მხატვრულ-არქიტექტურული სტრუქტურებისა და ფორმების ჩამოყალიბების ძირითადი ნაკადის აღრეული ეტაპის გამოყოფის მცდელობა, დავით ჩიხლაძე**

გარეჯის მრავალმთის მონასტრების არქიტექტურული შესწავლის პროცესში განსაკუთრებული სიმწვავით დგას მისი საწყისი ეტაპის საკითხი. დოდო-რქის მონასტრის ბოლნურჯვერიანი ეკლესიისა და მისი კომპლექსის არქიტექტურაზე დაკვირვება, ერთი მხრივ, მისი წმ. დავითის ლავრის ეწ. წმ. ილარიონის ფილიალის კომპლექსთან დაკავშირების, მეორე მხრივ, კი ამ კომპლექსებში გამოვლენილი საერთო პრინციპების – ლიტურგიული სირცის მხატვრული სახის ფორმირების, კომპლექსის სტრუქტურული კომპონირების, სტრუქტურული ელემენტების ნაირგვარობის, მათი ურთიერთკავშირის თავისებურების – განზოგადებისა და ამის საფუძველზე გარეჯის მრავალმთის მხატვრულ-არქიტექტურული სტრუქტურებისა და ფორმების ჩამოყალიბების ძირითადი ნაკადის აღრეული ეტაპის გამოყოფის საშუალებას იძლევა.

- საქართველოს ქრისტიანული არქიტექტურის ჩასახვის საწყისი ეტაპი. კავშირი დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროსთან. ადრექტირისტიანული ხანის ეკლესიების მხატვრულ-სტილისტური და ტიპოლოგიურ-ფუნქციური ნიშნები და ნაგებობათა დათარიღების პრობლემები, ბია ჰანიშვილი თემის წარმოდგენილი მონაკვეთი სადოქტორო ნაშრომის („ქართული საეკლესიო არქიტექტურის წარმოშობისა და განვითარების საწყისი ეტაპის ისტორია წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების მიხედვით“) დასკვნითი ნაწილია. ნაჩვენებია, რომ წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური გათხრების უახლესი შედეგების შეჯერებამ და ერთიანად წარმოჩენამ, საქართველოს საეკლესიო არქიტექტურის ჩასახვასა და განვითარებაზე არსებული ზოგი მოსაზრების ხელახლი გაანალიზებისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა. ახალი მონაცემები ძირეულად არ ცვლის ჩვენს წარმოდგენას ადრექტირისტიანული საეკლესიო მშენებლობის შესახებ, თუმცა ზოგი რამ სრულიად ახლებურად წარმოჩინდა. უკანასკნელი არქეოლოგიური გათხრების შედეგად შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ზოგადი და კერძო ხასიათის დასკვნები. გათხრებმა გვიჩვენა, რომ წერილობითი წყაროების ცნობები ეკლესიათა მშენებლობაზე უმრავლეს შემთხვევაში სინამდვილეს შეესაბამება, თუმცა, ზოგჯერ პირიქით, ცნობების სიმართლე ვერ საბუთდება. შედეგად, ამ ნაგებობათა დათარიღებისთვის გაჩნდა ახალი პრობლემები.

- ზემო სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრება და ადგილობრივი

#### **სამშენებლო ტრადიციები, ბიორგი პატაშვრი**

ნაშრომში შესწავლილია ზემო სვანეთის ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციები და გამოვლენილია მათი მიმართება სვანეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრებათან.

- ზღვისპირა ქალაქები და დასავლეთ საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობები (2014-2015), ირინა მანია

ნაშრომი საქართველოს ზღვისპირა ქალაქების და დასავლეთ საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობების აღნუსხვას, არქიტექტურული თავისებურებების კვლევას და მათი ისტორიული კონტექსტის გამოვლენას ისახავს მიზნად.

გვიანრომაულ და ადრე ბიზანტიურ ხანაში დასავლეთ საქართველოში საფორტიფიკაციო ნაგებობების მთელი ჯაჭვი შეიქმნა. ბიზანტია-სპარსეთის ომის დროს დას. საქართველოს ციხეები თავისი მდებარეობით განსაკუთრებული მნიშვნელობის თავდაცვით ნაგებობებს წარმოადგენდნენ. საფორტიფიკაციო ნაგებობების შემდგომი არქიტექტურული ისტორიაც მნიშვნელოვანი კვლევის საგანს წარმოადგენს. შეგროვილი მასალის შეჯერების საფუძველზე დასავლეთ საქართველოს საფორტიფიკაციო ნაგებობების არქიტექტურული და ისტორიული ღირებულების გამოვლენა ნაშრომის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

- მეფე-დედოფლის სამყოფელი ქართული ეკლესიის სივრცეში,

#### **ნატალია ჩიტიშვილი**

თემა ეხება შუა საუკუნეების ქართული ტაძრის სამრევლო სივრცეში, ნაოსში მეფე-დედოფლითათვის გამოყოფილ ადგილს, რომელსაც ისინი ლიტურგიის მსვლელობისას იკავებდნენ. ამ საკითხთან დაკავშირებით მოძიებულ იქნა როგორც წერილობითი წყაროები, ასევე დამუშავდა საარქივო მასალა და მოეწყო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და ტაო-კლარჯეთში. ყოველივე ამან მნიშვნელოვანი და საინტერესო მასალა გამოავლინა შუა საუკუნეების საქართველოს ეკლესიებში მეფეთა და დედოფლითა ადგილის მოწყობის თაობაზე, რაც შესაბამისად აისახა 2014 წლის სამეცნიერო თემაში.

- ბოლნისის სიონის თავდაპირველი არქიტექტონიკის „რესტავრაცია“ (2014-2015), ნუბზარ ალხაზაშვილი

ნაშრომი მიზნად ისახავს ბოლნისის სიონის თავდაპირველი სტრუქტურის აღდგენის ცდას, რომელიც განსხვავადება სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე მიღებული ვარიანტისგან.

- მარნების ტიპოლოგია და არქიტექტურული გადაწყვეტა, (2014-2015),  
მანანა სურამელაშვილი

წლიური თემის ფარგლებში საწყის ეტაპზე მოხდა მარნების საკითხთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფიის დამუშავება და ნაგებობის ძირითადი ტიპების გამოყოფა, როგორიცაა ცალკე მდგომი მარნები და საცხოვრებელთან შეთავსებული ამ ფუნქციის ქვედა სართულის სადგომები; ამასთანავე, დამუშავდა სხვადასხვა დროის მარნის რამდენიმე ნიმუში და შედგა მომავალი წლისთვის შესასწავლი ისტორიული მარნების სავარაუდო ნუსხა.

### 13. შუა საშუალების ქვისა და ლითონის ქანდაკება



- ოშეის ტაძრის ხუროთმოძღვრული სკულპტურა, თამარ ხუნდაძე

ნაშრომში განხილულია ოშეის წმ. იოანე ნათლისმცემლის ტაძრის როგორც საფასადო მონუმენტური ქანდაკებანი, ასევე, ინტერიერში, სამხრეთ-დასავლეთ გუმბათქვეშა ბურჯზე, ეკლესიის სამხრეთი მინაშენის რვაწახნაგა სვეტზე გამოკვეთილი გამოსახულებანი და ბოლო წლებში ტაძრის ინტერიერში აღმოჩენილი, ამჟამად ერზერუმის მუზეუმში დაცული მემორიალური სტელების რელიეფები.

მთავარი ყურადღება გამახვილებულია ოშეის ტაძრის სკულპტურული დეკორის საერთო პროგრამაზე, კომპოზიციათა თემატიკაზე (ისტორიული პირები, „ვედრება“, წმ. სიმონ მესვეტე“, მთავარანგელოზნი, წმინდანები, ცხოველთა გაოსახულებანი და სხვ), მათ აზრობრივ-სახისმეტყველებით კონტექსტზე თანმხლები წარწერების შინაარსის გათვალისწინებით.

ნაშრომში ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ოშეის ტაძრის რელიეფების მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებებს, ამ ქანდაკებათა განსაკუთრებული როლის წარმოჩენას შუა საუკუნეების ქართული სკულპტურის განვითარების ისტორიაში.

- შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურისა და პლასტიკის მიმართება, ეპატერინი პგაჲატაძე

შუა საუკუნეების ქართული საფასადო ქანდაკება მთლიანი ხუროთმოძღვრული ორგანიზმის განუყოფელი ნაწილია. რელიეფურ კომპოზიციათა ტოპოსი,

საზრისი თუ მასშტაბი არქიტექტურის მხატვრული გააზრების თანაფარდია. ქანდაკოვანი თუ ხუროთმოძღვრული ელემენტებით შემკობის სისტემა ეპოქის სტილთა ცვალებადობის მრავალფეროვნებით სახესხვაობს. ფასადის გაფორმებაში ხან სკულპტურული ორნამენტის, ჩუქურომის, ხან რელიეფური ფიგურის თუ სცენათა უპირატესობაა გამჟღავნებული, სადაც სადად დარჩენილი კედლის სიბრტყე ყოველთვის მეტყველია. ფასადთა დეკორისთვის დამახასითებელია კედლის სიბრტყის ფართო, სადა არეებზე გამოსახულებათა თავისუფლად კომპონირება, მხატვრული ჩანაფიქრის მთლიანობა, სადა და მორთული ადგილების ზომიერი შეპირისპირება. საფასადო დეკორში გამოსახულება ხან ავტონომიური მნიშვნელობისაა, ხან – ერთიანი ანსამბლის განუყოფელი ნაწილი. ფიგურულრელიეფიანი და ორნამენტული ქანდაკებები უმეტესად ტაძრის სიმბოლიკით დატვირთულ, განსაკუთრებით საკრალურ ნაწილებს გამოყოფს. ქანდაკოვანი სამკაულით საკმლის თავსართებისაპირები, კარის ტიმპანები, ფრონტონები, გუმბათის ყელია გამშვენებული.

#### • ბზას პეტრე-პავლეს ეკლესიის რელიეფები, თამარ დადიანი

ბზას (ამჟამად ახალსოფლის) პეტრე-პავლეს დარბაზული ტიპის ეკლესიის (XI სის პირველ ათწლეული) ინტერიერში ორი რელიეფია შენახული – ლომისა და სავარაუდო არწივის გამოსახულებებით. კიდევ ორი რელიეფი ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დევს – ფილა ხარის ფიგურით და ზღუდარის ნაწილი დიოკლეტიანეს დამთრგუნველი წმინდა გიორგის გამოსახულებით. ლომისა და არწივის ფიგურები ინტერიერში, თაღებს შორის შექმნილ სამკუთხა მონაკვეთებშია დაცული, მაგრამ მნელი წარმოსადგენია ხარის გამოსახულებიანი ფილა სად უნდა ყოფილიყო განთავსებული, რადგან მისთვის ადგილი ეკლესიის შიგნით არ არის. შიდა სივრცის არქიტექტურული გადაწყვეტა არ ითვალისწინებს ინტერიერის ფიგურული რელიეფებით გაფორმებას. ამიტომ საფიქრებელია, რომ სკულპტურული კომპოზიციები თავდაპირველად ეკლესიის გარე კედლებს ამკობდა და მოგვიანებით ინტერიერის კედლებში იქნა ჩაყოლებული. იკონოგრაფიული და სტილური ნიშნებით პეტრე-პავლეს ეკლესიის რელიეფები ყველაზე ახლოს X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისის ძეგლებთან დგას ახლოს.

• შუასაუკუნოვანი ქართული ოქრომჭედლობა ევროპული და აღმოსავლეთქრიასტიანული ხელოვნების მიმართებით (იკონოგრაფიული, იკონოლოგიური, სტილისტური პრობლემები (2014-2015), თეომურაზ საზღარეულიებები

თემა ორწლიანია. მისი პირველი ნაწილი, რომელიც ეხება VIII–IX–XIV–XV საუკუნეებს დამთავრებულია. ძეგლების ერთმანეთთან მიმართების შედეგად იკვეთება ქართული ჭედური ნიმუშების თავისებური მიდგომები და გადაწყვეტები, მიუხედავად მათი ზოგადი ერთობისა.


თემის მეორე ნაწილი, რომელიც ეხება ქართული ოქრომჭედლობის გვიანდელ პერიოდს, 2015 წლისთვისაა გათვალისწინებული.

#### • XIV საუკუნის ჭედური ხატების ფრაგმენტები, ლეილა ზუსპიაძე

ჭედური ხატების ფრაგმენტები, აღმოჩენილი ქოროდოს ეკლესიაში, ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიულ განცემის ნაკლებადაში ინახება. ეს მეტად საინტერესო მასალა ნაკლებადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ფრაგმენტები ხატების ჭედურ ჩარჩოებს ეკუთვნის. სხვადასხვა ნაწილების ერთმანეთთან შესაბამისი დაკავშირების შედეგად მოხერხდა ჩარჩოს ცალკეული არშიების აღდგენა. დადგინდა აგრეთვე მათი შესრულების ხერხი – ესაა შტამპი, ზემოდან მეტ-ნაკლები გულმოდგინებით დამუშავებული. ფრაგმენტების მხატვრულ-სტილისტურმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა მათი ერთ ჯგუფში

გაერთიანება, მიუხედავად იმისა, რომ მათი შესრულების დონე სხვადასხვაა. ფრაგმენტების შექმნის დრო განისაზღვრა XIV ს-ით ადრეული (XI-XII სს) ნიმუშების მიხედვით. ამ მასალის მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ მან გაზარდა ამ პერიოდის მცირერიცხოვანი ძეგლების რიცხვი.

#### 1.4. შუა საუკუნეების პედლის მხატვრობა



- ახტალის მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამის თავისებურებები, მარინე ბულია, მზია ჯანჯალია**

ახტალის მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამა რთული და მრავალკომპონენტიანია. აქ თანაბარი მნიშვნელობით წარმოჩენილია განკაცების დოგმა, ეკლესიის ერთობის, სამონაზენო მსახურებისა თუ ესქატოლოგიური თემები. როგორც მოხატულობის შინაარსი მთლიანად, ისე ცალკეულ სცენათა იკონოგრაფიული რედაქტირები ბიზანტიური ნიმუშების აშკარა გავლენას ავლენს და ძირითადად, XIII საუკუნის II ნახევარსა და XIV საუკუნეებში გავრცელებულ ვერსიებს მიუყვება. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ახტალის მოხატულობის ძირითადი ნაწილი არა XII საუკუნის ბოლოს ან XIII საუკუნის დასაწყისშია შესრულებული (აქამდე ასე იყო მიჩნეული), არამედ XIII საუკუნის II ნახევარს, უფრო მეტად კი XIII საუკუნის დასასრულს განეკუთვნება.

- იკის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა, ეპატერინე ბელევანიშვილი**  
დასრულდა იკის ტაძრის მოხატულობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო თემა. კვლევის შედეგად დაზუსტდა მოხატულობის თარიღი, განისაზღვრა, როგორც პირველი ფენის, ასე მეორე ქრონოლოგიური ფენის მოხატულობა. გამოვლინდა და დაზუსტდა არაერთი იკონოგრაფიული დეტალი.

- დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მოწამეთა ეკლესიის მოხატულობა -ელინისტური ილუზიონიზმის შორეული რემინისენცია, თინათინ ხოშტარია**

მოწამეთას მოხატულობის კომპოზიციური აგება, მისი სტრუქტურა, გრაგნილისებრი, ფრიზული განშლა ელინისტური ხელოვნების შორეულ რემინისენციას მოგვაგონებს. სცენები მოჩარჩოების გარეშე ერთ რეგისტრში ფრიზულად არის განლაგებლი, ფიგურები გამოქვაბულის სიმცირის მიუხედავად თავისუფლად თავსდება კედლის სიბრტყეზე; ამგვარი მხატვრული გადაწყვეტა გარკვეული თავისუფლების განცდას იწვევს. ცალკეული საუკეტები ერთმანეთისაგან მხოლოდ მთების გამოსახულებათა საშუალებით განიყოფა. მაღალი მთების ფონზე ასახული ადამიანების ვერტიკალური ფიგურები ერთგვარ რიტმს ქმნის. ყველა მათგანი ერთ სიბრტყესა და ერთ ხაზზე, თითქოს

ფიცარნაგზე დგას და ქრისტიანული სიუკეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიას ერთგვარ თხრობითსა და წარდგენითი ხასიათის სცენად წარმოგვიდგენს.

- **სასხლის მთავარანგელოზის ეკლესიის მოხატულობა,**  
**ძრისჭირე საბჭოლი**

ნაშრომში განხილულია სოფელ სასხლის მთავარანგელოზის ეკლესიის 1704 წლის მოხატულობა, რომელიც გვიან მოხატულობათა ზუსტად დათარიღებულ ძეგლთა რიგს ეკუთვნის, რაც არც ისე ხშირი შემთხვევაა. ეკლესია მისი მაშენებლის ნიკოლოზ მადალაძის დის, ხორეშანის საძვალეს წარმოადგენს და მასში წარმოდგენილი მოხატულობის პროგრამა ადრეული პერიოდის საძვალეთა ქართულ და უცხოურ (უმეტესად ბერძნულ) ნიმუშებთან არის შედარებული. საკურთხეველში გამოსახული სცენა - „იონა ვეშაპის მუცელში“ და „ბალთაზარ მეფის ნადიმი“, საქმაოდ იშვიათი რედაქციაა. ეს ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი შემთხვევაა ქართული კედლის მხატვრობის გვიან ნიმუშში. ძლიერ დაზიანებული მხატვრობა საჭიროებს დაცვასა და რესტავრაციას.

- **გარძის მთავარი ტაძრის იკონოგრაფიული პროგრამა, ანა პლაიაშვილი**  
გარძის მთავარი ტაძრის მოხატულობის პროგრამა სრულიად ტრადიციულია, თუმცა ანალიზის საფუძველზე მოხატულობაში დასმული ცალკეული აზრობრივ-კომპოზიციური მახვილები საგრძნობლად ცვლის საერთო სურათს. მოხატულობის კომპოზიციური მახვილები ავლენს მხატვრობის იკონოგრაფიული პროგრამის ძირითად ასპექტებს და გამოკვეთს მთავარ იკონოგრაფიულ იდეას. მთავარი იდეა კი დგომისმობლის თემაა, რომლის სხვადასხვა ასპექტი (დგომისმობელი – მეოხი, ზეციური დედოფალი და მისი ადამიანური ისტორიული სახე) გახსნილია რამდენიმე სცენის საშუალებით.

- **ქრისტიანულ ფერთა სიმბოლიგა (2014-2015), ასმათ ოქროპიტრიძე**  
კვლევის ამ ეტაპზე დამუშავებულია ძირითადი ემპირიული მასალა, საღმრთოსმეტყველო საფუძველი, ფერთა მართლმადიდებული კლასიფიკაცია.

## 15. შუა საშპუნებელი ხატიერა



- **მდგიმევის მონასტრის ქანკელის ხატები (2014-2015), ეთერ ედიშერაშვილი, ნინო ციბიშვილი**  
2014 წელს დაგეგმილი სამუშაო ითვალისწინებდა მდგიმევის იკონოსტასის ფერწერული ხატების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურის, ისტორიული ცნობების, ფოტომასალის მოძიებას და მათი რესტავრაცია-კონსერვაციის ისტორიის შესწავლას. მოპოვებულ იქნა როგორც უკანასკნელ წლების, ასევე საარქივო ფოტოები. მოხდა ხატების რიგი ნაწილის ფოტოფიქსაცია, რომელიც

სარესტავრაციოდ იყო ჩამოტანილი თბილისში. საარქივო მასალის დამუშავების შედეგად (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში) გამოვლინდა კანკელის სრული და აღსავლის კარის ფოტოები. მღვიმევის კანკელის შესახებ არსებული მეტად მწირი ინფორმაციის მიუხედავად, სადღეისოდ ცნობილია მხატვრის სახელი – ნიკოლაოს მელიდანაშვილი, რომელიც ხატების გაწმენდის პროცესში გამოვლინდა. კვლევის ამ ეტაპზე შესაძლებელია ვივარაულოთ, რომ სწორედ ნიკოლაოს ბერძენი იყო მთავარი მხატვარი, თუმცა ხატებზე ზედაპირული დაკვირვების შედეგად რამდენიმე ოსტატის არსებობა ივარაუდება.

## **1.6. პატრონაჲი, პულტი და ხელოვნება**



### **• ღვთისმშობელი Agiosoritissa-ს კულტი შუა საუკუნეების საქართველოში, ნინო ჰიჟინაძე**

თემა ითვალისწინებდა ბიზანტიურ სამყაროში გავრცელებულ დედა ღვთისას ერთ-ერთი მთავარი იკონოგრაფიული ვერსიის ხატების შუა საუკუნეების საქართველოში შექმნა-გავრცელების ისტორიისა და მნიშვნელობის შესწავლა-ანალიზს. ბიზანტიის დედაქალაქში ღვთისმშობლის კულტის ერთ-ერთ მთავარ ცენტრთან – ქალკოპრატეის მონასტრთან ასოცირებული, სასწაულმოქმედ ხატებ ადიარებული დედაღვთისას ვედრების ხატი, რომელიც “Agiosoritissa”-ს სახელითაა ცნობილი, რამდენიმე გამოკვლევის საგანია; თუმცა ამ გამოკვლევებში, როგორც წესი, არ არის განხილული საქართველოში შემორჩენილი მასალა.


ნაშრომში განხილულია საქართველოში შემორჩენილი აგიოსორიტისას ხატები და/ან მათი მოჭედილობები. დეტალური ისტორიული, მხტარულ-იკონოგრაფიული და იკონოლოგიური კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ საქართველოში ამ იკონოგრაფიული თემის პოპულარობა უკვე X საუკუნიდან იღებს სათავეს, ამის საფუძველს ხახულისა და ხობის ლეონ მეფის ხატები გვაძლევს (ორივე X ს.). მარიოლოგიურ იკონურ თემათა შორის ამ გამოსახულების პოპულარობა მის ესქატოლოგიურ ობერტონებსა და მიცვალებულთა მოხსენიების კონტექსტსაც უნდა განეპირობებინა.

### **• ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების სოციალურ-პოლიტიკური ასპექტები, პიტი მაჩაბელი**

თემა დასრულებულია. ნაშრომში განხილულია ადრეული შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ნაწარმოებები, როგორც ქვეყნის რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური ისტორიის მნიშვნელოვანი საბუთები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოში ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბებას და მის მიმართებას ბიზანტიაში მიმდინარე

ანალოგიურ პროცესთან. გაანალიზებულია რელიეფურ პორტრეტებთან არსებულ წარწერებში მოხსენიებული ბიზანტიური (ცუროპალატი, პატრიკიოსი, ვიპატოსი) და ქართული (ერისთავი, მამვალი, მამასახლისი) სამოხელეო ტიტულები, რის საფუძველზეც დადგინდა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა მოხაწილეობა ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნაში.

## 1.7. გულტურათა დიალოგი



- კათოლიკური ეკლესიები დასავლეთ საქართველოში,  
ნათია ნაცვლიშვილი**


ნაშრომში განხილულია ქუთაისისა და ბათუმის კათოლიკური ეკლესიები, რომლებიც აგებულია XIX-ისა და XX-ის დასაწყისში. ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში აღინიშნება ძირეული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებებით, რამაც განმსაზღვრელი გავლენა იქონია კათოლიკური ეკლესიების მშენებლობის პირობებზეც და მათი მხატვრულ-არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბებაზეც.

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიაზე (1826-1897) ქართველი, ბერძენი და იტალიელი ოსტატები მუშაობდნენ. ის ძირითადად ქართველ მოსახლეობას ემსახურებოდა და მათი სამშენებლო და შემოქმედებითი აქტივობის მეტყველი ილუსტრაციაა. ბათუმის კათოლიკური ეკლესია (1898-1903) აშენდა ქართველი მეწარმისა და ქველმოქმედის ს. ზუბალაშვილის შემოწირულობით და მდვდელ ანსელმ მღებრიშვილის მოღვაწეობით. ბათუმის ეკლესიის ნეოგოთიკური არქიტექტურა ადგილობრივი მრევლის, რომლის უდიდეს ნაწილს პოლონელები და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული კათოლიკები შეადგენდნენ, გემოვნებას და ქალაქის მულტიკულტურულ გარემოს ეპასუხება.

- ისლამი და ქართული სახვითი ხელოვნება (2014-2015), იშხა ხშსპივაძე**

ნაშრომი მიზნად ისახავს აღმოსავლური ხელოვნების საკითხების, მისი მხატვრული პრინციპების შესწავლას; თუ როგორ არიან ისინი სახეცვლილი ადგილობრივ ნიადაგაზე; მათი ზეგავლენით, გარკვეულ ისტორიულ პერიოდში, თუ რა მხრივ წარიმართა ხელოვნების სხვადასხვა დარგის ჩვენივე მხატვრული შემოქმედება, უცხოური გავლენები რაგვარად არის დაფლული ქართული სახვითი ხელოვნების ცალკეულ დარგებებში – ხელნაწერი წიგნის დასურათებაში (ძირითადად საერო მინიატურაში), კედლის მხატვრობის საქტიტორო პორტრეტში და ჭედურ ხელოვნებაში. 2014 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში მოძიებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე უცნობი მაირანიზებელი ხელნაწერები, შესწავლილია ქართულ-სპარსული მოკაზმული პოქმები; დაგროვილია მდიდარი საილუსტრაციო მასალა.

## 1.8. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების გზა



- ქართული საბავშვო წიგნის მხატვრობა - 1910-20-იანი წწ. (2013-15)  
მარიამ გაჩხჩილაძე

2014 წელს მოძიებული და დამუშავებულია 1910-20-იან წწ.-ში ცნობილი და ნაკლებადცნობილი მხატვრების (ო. შემერლინგის, შ. ქიქოძის, ირ. გამრეკელის, ა. ქუთათელაძის, მ. გოცირიძის, ვლ. წილოსანის, პ. ლიბრაძის და სხვათა) მიერ გაფორმებული საბავშვო წიგნები. მოხდა მათი დამუშავება: აღწერა, ანალიზი, პარალელური მასალის მოძიება, ნაწილობრივი ფოტო-ფიქსაცია.

- ახალი ქართული ფერწერა (1970-იანი წწ.-ის ჩათვლით), (2014-15),  
დალი ლებანიძე

2014 წელს დაიწერა ზოგად-მიმოხილვითი ხასიათის ტექსტი, რომელშიც განხილულია ახალი ქართული ხელოვნების განვითარების გზა XVIII ს-ის ბოლოდან და XIX დასაწყისიდან 1970-იან წლებამდე. განხილულია სხვადასხვა თაობის მხატვრების შემოქმედება (გ. გაბაშვილი, მ. თოიძე, ნ. ფიროსმანაშვილი, ქ. მადალაშვილი, ე. ახვლედიანი, შ. ქიქოძე, დ. კაკაბაძე, ე. კალანდაძე, ჯ. ხუნდაძე, ბ. ბერძენიშვილი და სხვები), გამოიკვეთა მხატვრული პროცესების განვითარების ძირითადი ეტაპები.

- 1940-50-იანი წლების ქართული და ამერიკული ხელოვნება (2013-2014)  
მზია ჩიხრაძე

ორწლიანი კვლევა მიზნად ისახავს ქართული და ამერიკული ხელოვნების და მათი ტენდენციების შესწავლას იმ პერიოდში (1940-50-იან წწ.), როცა ამ სრულიად განსხვავებული ისტორიის მქონე ქვეყნების ხელოვნებაში მსგავსი მხატვრული პროცესები მიმდინარეობდა. ამერიკაში, ე.წ. ნიუ იორკის სკოლის მხატვარები უარს ამბობენ ნატურალისტურ, ფიგურატიულ ხელოვნებაზე და მიმართულებას აბსტრაქტული მხატვრობისკენ იღებენ. საქართველოში ე.წ. ორმოცდათიანები სოციალისტური რელიზმის ფარგლებში ცდილობენ ფერწერის ახალი გზა მოძებნონ, ისინი ცდილობენ გამოავლინონ ფერწერის მხატვრული საშუალებები და ალაპარაკდნენ ხელოვნების სპეციფიკის ენაზე. ნაშრომში შესწავლილია ობიექტური და სუბიექტური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული მიზეზები და თეორიული საფუძვლები, რომლებმაც განსაზღვრეს როგორც ამერიკული, ისე ქართული ხელოვნების მხატვრული ცვლილებები.

- ქართული მოდერნიზმის უცნობი მხატვრები (2014 - 2015)  
მაია ციციშვილი

თემა მიზნად ისახავს დღეისათვის სრულიად უცნობი და ნაკლებად ცნობილი მხატვრების შემოქმედების შესწავლას და მათი ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრას ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში. ამ მხატვართა რიგს განეკუთვნებიან: დ. ქუთათელაძე, დ. წერეთელი, ს. ვაწაძე, ალ. შერვაშიძე, გ. შავიშვილი, მ. ბილანიშვილი, შ. ძეგლაძე, შ. მამალაძე, გ. გოცირიძე, გ.

ჭიათურელი, ი. თოიძე, ს. მაისაშვილი, ნ. წერეთელი და სხვ. 2014 წელს განხორციელდა: კერძო კოლექციებსა და მუზეუმებში დაცული მასალის შეგროვება, გადარჩევა, ფოტოფიქსაცია, ბიბლიოგრაფიის დამუშავება.

- **შეფასებით მსჯელობისათვის გიზუალურ ხელოვნებაში (2014-2015),  
გობი ხოშტარია**

შეფასებითი მსჯელობა ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა კულტურაში საერთოდ და, კერძოდ, ხელოვნებაში. ნაშრომში წარმოდგენილია ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტები, მისი კვოლუცია დროში, ანუ გაოქალურ ჭრილში, კერძოდ კი, მისი დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში.

ნაშრომში არ განიხილება ანტიკური და შუა საუკუნეების ნააზრევი ამ მიმართულებით. ეს შემდგომი კვლევის საგანია, ვინაიდან მისი არეალი ძალზე ფართოა. ამჟამად კვლევა შემოისაზღვრება უახლესი დროის პერიოდით, ანუ ძირითადად XIX-XX სს-ის, რომლის დასაწყის ეტაპზე მკაფიოდ მოსჩანს ეწ. ევროპოცენტრიზმი, დაწყებული საერთაშორისო სამართებლივი საკითხიდან, გათავებული ხელოვნებით. ნაშრომში არის მცდელობა გაანალიზდეს ის ნიადაგი, რომლიდანაც აღმოცენდება ევროპოცენტრიზმი. მეორე ეტაპი წარმოდგენილია XIX ს-დან, როდესაც ხდება თანდათანობითი გაფართოვება და განსხვავებულ კულტურათა აღიარების ტენდენცია, რაც, საბოლოოდ, ყალიბდება კულტუროლოგიური დოქტრინით – ყველაფერი, რაც ერთადერთი და განუშეორებელია, ფასეულობით პლანში. ამის შემდეგ განხილულია ის წინააღმდეგობები, რაც მოჰყვება ამგვარ მიღვომას.

- **თანამედროვე ქართული ქანდაკების განვითრების ძირითადი გზები,  
მარინა მემარიაშვილი**

ნაშრომში განხილულია ქართული საერო ქანდაკების განვითარების ძირითადი ეტაპები 1920-ინი წლიბიდან 1980-იანი წლების ბოლომდე. აღწერილია წამყვანი ქართველი მოქანდაკეების მხატვრული ნაწარმოებები ქართული ქანდაკების ფუძემდებლის იაკობი ნიკოლაძიდან მოყოლებული თანამედროვე მოქანდაკებამდე, აგრეთვე გამოყოფილია ქართული ქანდაკების ისტორიის განვითარების ძირითადი ეტაპები. XX საუკუნის მანძილზე ქართულმა ქანდაკებამ პოლიტიკურად და სოციალურად არასტაბილური ფონის მიუხედავად წარმატებით დაძლია რთული გზა აღმოცენებიდან დღემდე. ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ გამოვიდა ქართული ქანდაკება ვიწრო ეროვნული ჩარჩოებიდან საერთაშორისო ასპარეზზე.

- **შალვა ქიქოძის მხატვრობა (2014-2015), ცისია ძილაძე**

თემის მიზანია ქართველი მოდერნისტი მხატვრის შალვა ქიქოძის მხატვრობის კვლევა, რის შედეგადაც წარმოჩინდება მისი შემოქმედების სხვადასხვა მხატვრულ-სტილისტური მხარეები ევროპულ მოდერნისტულ მხატვრობასთან მიმართებით და მსოფლიო ხელოვნების ისტორიის კონტექსტში. ამ ეტაპზე მოძიებული და დამუშავებულია სპეციალური ლიტერატურა, პარალელური მასალა და ლიტერატურა შალვა ქიქოძის შემოქმედებაში ურბანული გართობის, დიდი ქლაის თემის (კაფეები, ბარები, ბაღები) შესახებ; მომზადებულია ტექსტი ამ თემაზე. ასევე მოძიებული და დამუშავებულია უცხოენოვანი ლიტერატურა ავტოპორტრტის შესახებ და ნაწილობრივ ჩატარებულია კვლევა შ. ქიქოძისა და სხვა ქართველი მხატვრების შემოქმედებაში ავტოპორტრეტის თემის ირგვლივ.

- **არ-დეკოს რეგიონალური გარიანტი, ნანა მირცხულაშვილი**

ნაშრომის მიზანია ქართველ ხელოვანთა იმ ნამუშევრების წარმოჩენა, რომლებიც ათვალისწინებენ კავშირს არ-დეკოს სტილთან. არ-დეკოს სტილის

თავისებურებანი განსაკუთრებულად თვალნათლივ იკვეთება ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში (XX ს-ის 30-40 წწ). განსაზღვრული ფილოსოფიური თუ პოლიტიკური მოტივაციების მქონე ევროპული ხელოვნების ბევრ მხატვრულ მიმდინარეობებისგან განსხვავებით, წმინდა დეკორატიულ სტილად ჩამოყალიბებულ არ-დეკოს სტილს მასაზრდოებელ წყაროთა სიუხვის, გეოგრაფიული გავრცელებულობის, მხატვრულ თუ კულტურულ-ისტორიული თავისებურებებით განპირობებული განსხვავებულობის მიუხედავად, მყარი ნიშნებიც გააჩნია, რომლებიც განვითარების გარკვეულ ეტაპზე გამოკვეთილად იჩენენ თავს სხვადასხვა ისტორიული ტრადიციების და განსხვავებულ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში. თემის ირგვლივ დამუშავებულია უცხოენოვანი ლიტერატურა, შეკრებილია პარალელური მასალა.

- **შემოქმედებითი ოჯახები:** – ნინო ყიფშიძე, დავით სულაკაური, დარო სულაკაური (აპლიკაცია, ფერწერა, ფოტოხელოვნება), მარიანა ოკლეი ხელოვნებაში მეტად საინტერესო და გავრცელებული მოვლენაა, როცა ერთი ოჯახის წარმომადგენლები ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოდვაწეობენ და თვითოვეულის შემოქმედება ამა თუ იმ ეტაპზე მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს ხელოვნების ისტორიის ფორმირების კონტექსტში.

ნინო ყიფშიძე მუშაობს აპლიკაციაში. მის მიერ შექმნილი პატარ-პატარა კომპოზიციები წარმოადგენს ცხოველხატულ ფერწერულ სურათებს. მრავალფეროვანია მისი თემატიკაც ყვავილებიდან, ნატურმორტებიდან, პეიზაჟებიდან დაწყებული სასულიერო სცენებამდე. დავით სულაკაური ფერწერია. ის მუშაობს დაზგურ და მონუმენტურ ფერწერაში. ხელოვანი ფერწერული საშუალებებით ასახავს იმას, რაც მისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. მისი შემოქმედება გამსჭვალულია სულიერებით და ზემოქმედებას ახდენს ფორმის პლასტიკური სიძლიერით, ფერადოვანი ლაქების სიმძლავრით.

დარო სულაკაური ახალგაზრდა ხელოვანია, რომლის ფოტონამუშევრებში ჩანს ავტორის მახვილი თვალი, რომელიც ემოციურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში გადმოცემს ასახვის ობიექტს.

- **ფოტოგრაფიის ისტორიისა და თეორიის ანთოლოგია /2014-2015/ გიორგი პაპაშვილი**

ნაშრომი მიზნად ისახავს ფოტოგრაფიის შესახებ არსებული რჩეული უცხოენოვანი შრომების თარგმნას, რედაქტირებას, საძიებლებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენას. ამჟამად მოძიებული და თარგმნილია სტატიების ნახევარზე მეტი.

- **პეიზაჟის, როგორც ჟანრის თავისებურებები XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ხელოვნებაში (2014-2016), თუა ფაბატამე**

ნაშრომი წარმოადგენს გამოკვლევის – მოდერნული პარადიგმები XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ხელოვნებაში – ნაწილს. ჟანრი არა მხოლოდ სახვით-თემატური, არამედ მსოფლმხედველობრივი კატეგორიაცაა. მოდერნისტულ ხელოვნებაში, უფრო ადრეც, რომანტიკოსებიდან მოყოლებული, შეინიშნება ჟანრის ტრადიციული შინაარსობრივი სტრუქტურის ერთგვარი რდვევა-გაფართოება, რაც განსაკუთრებით ცხადად პეიზაჟში მუდავნდება. პეიზაჟი – ბუნების სურათი უკვე არა მხოლოდ ხედის “ილუსტრაციას”, არამედ ხშირად სწორედ მხატვრის განცდების, სუბიექტური დამოკიდებულებების – მსოფლგანცდის გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს და, რჩება რა პეიზაჟის

უანრის სახვით-თემატურ საზღვრებში, შინაარსობრივად თემატური სურათის ფორმატს იძენს.

კვლევის საგანს წარმოადგენს ქართულ მოდერნისტულ ხელოვნებაში პეიზაჟის უანრის თავისებურებების ამ თვალსაზირისით კვლევა. კერძოდ ის, თუ პეიზაჟის უანრის როგორ შინაარსობრივ მოდელს ქმნის მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული სახვითი ხელოვნება.

2014 წელს დასრულდა ბიბლიოგრაფიასა და ვიზუალურ მასალაზე მუშაობა.

- **ქართული მხატვრობა პოსტსაბჭოთა ეპოქაში (2013-2014),  
ნინო ჭოლოშვილი**

ნაშრომი მიმოიხილავს ქართულ მხატვრობას 1980-იანი წლებიდან 2000 წლამდე; ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე აქტუალურ მხატვრულ პროცესებსა და ახალ ტენდენციებს საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდსა და მომდევნო ათწლეულში.

- **სივრცის პრობლემა 1910-1920-იანი წლების ქართულ მოდერნიზმში,  
ნანა გივიანი**

თემა განიხილავს ქართულ მოდერნიზმსა და ავანგარდში სივრცითი აზროვნების თავისებურებას, რომელიც ათვალსაჩინოებს ზოგადად ქართული ეროვნული ესთეტიკური აზროვნების თავისებურებებს. ვიზუალური მასალა შედარებულია ამავე პერიოდის როგორც ევროპულ (გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ), ისე რუსული მოდერნიზმისა და ავანგარდის მასალასთან. განხილულია და გაანალიზებულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა.

- **ქართული მხატვრული ფაიფური (2014-2015), სოჭიო ჩიტორელიძე**

ნაშრომში განხილულია ქართული მხატვრული ფაიფურის ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაიფურის ინდივიდუალური მხატვრული ნიმუშები და საქართველო წარმოება ჩვენს ქვეყანაში, წარმოდგენილია ნაკეთობების ძირითადი სახეობები, მოცემულია მათი დახასიათება და ანალიზი. წელს ჩატარდა შემდეგი სამუშაო: მასალის მოძიება მუზეუმებში (ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, სამხატვრო აკადემიის მუზეუმი), მასალის შეგროვება მხატვრებთან. საარქივო მასალებზე მუშაობა (საქართველოს ეროვნული არქივი, ნავთლულის კერამიკული კომპინატი), ფოტოფიქსაცია.

- **კონცეფტუალური ხელოვნება საქართველოში, ნათია გაბანოიძე**

კვლევის მიზანია ქართული ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის – 1980-90-იანი წლების კონკრეტული ტენდენციების (იგულისხმება ტრადიციული მხატვრული გამომსახულობისაგან განსხვავებული, ვიზუალური კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმების გაჩენა) განხილვა თანამედროვე დასავლური ხელოვნების კონტექსტში. ამ თაობის მხატვართა ნამუშევრებში შეინიშნება აბსტრაქციონიზმის, პოპ-არტის, კონცეფტუალიზმის, ტრანსავანგარდის აშკარა გავლენები. 80-იანი წლების ბოლოსათვის ვიზუალური ხელოვნების ახალ ფორმებზე ექსპერიმენტები უკვე დასრულებული მხატვრული ფენომენის სახეს იღებს, რომელიც გამოკვეთილად პოსტმოდერნისტულ იერს ატარებს. თუმცა, ცხადია, ამ შემთხვევაში განსხვავებულია ისტორიული, კულტურული და სოციალური მადეგერმინირებელი ფაქტორები და სწორედ ეს განსხვავება განაპირობებს აღნიშნული მხატვრული მოვლენის თავისებურ ხასიათს. კვლევა ითვალისწინებს აღნიშნული ფენომენის დახასიათებას თანამედროვე დასავლური ხელოვნებისა და პოსტ-ტორტალიტარული ვითარების კონტექსტში.

- **გურამ გელოვანი – მხატვარი საბჭოთა კონტექსტიდან, ნინო ჭიჭარაშვილი**

ნაშრომში ეძღვნება გურამ გელოვანის შემოქმედებას, რომელიც განხილულია თანადროული საბჭოთა ხელოვნების ძირითადი ტენდენციების ფონზე.

- **ფიროსმანი როგორც კულტურული ფენომენი (2013-2014), ლიანა ანთელაბა**

ნაშრომი განხილულია სამი საკითხი: 1. ფიროსმანი როგორც ქართული დაზგური ფერწერის ქაგუთხედი; 2. ფიროსმანის ფერწერა, როგორც ვიზუალური აზროვნების ფორმაში გამოვლენილი ქართული კულტურული პარადიგმები; 3. ფიროსმანის შემოქმედებაში გამჟღავნებული ქართული კულტურული იდენტობები (ქართული კულტურის ესთეტიკური ასპექტი).

- **მოდერნიზმის ძირითადი პრინციპები და მათი გააზრება ქართულ ხელოვნებაში (2014-2015), ანა სანთელაძე**

საკვლევი ოქმის ძირითადი ამოცანაა მეტ-ნაკლები სისტემური სახით განისაზღვროს ის საერთო ნიშან-თვისებები, რომლებიც მოდერნიზმის პერიოდის მრავალფეროვან მხატვრულ მოვლენებს აერთიანებს და თითქოს, ერთი მხრივ, რადიკალურად განსხვავებულ მხატვრებს ერთი საერთო მიმდინარეობის „მოდერნიზმის“ სახელის ქვეშ აქცევს. მოდერნიზმის ძირითადი პრინციპების გააზრება ხდება ქეთევან მაღალაშვილის, ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძისა და შალვა ქიქოძის შემოქმედებაზე დაყრდნობით. მიმდინარე წელს დაიწერა შესავალი ნაწილი და განხილულ იქნა ქეთევან მაღალაშვილის, ელენე ახვლედიანის და შალვა ქიქოძის შემოქმედება.

## 19. ქართული სცენოგრაფია



- **გოგი გუნიას მხატვრობა სპექტაკლისათვის „ანტიგონე“, თამარ გელაშვილი**

მოძიებულია საარქივო და ფოტო-დოკუმენტური მასალა, როგორც მხატვარზე ასევე სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორზე, მიხეილ თუმანიშვილზე. მიუხედავად იმისა, რომ გოგი გუნიას შემოქმედების შესახებ არსებობს ცალკეული კვლევები და პუბლიკციები, მათი რაოდენობა მწირია და, ამასთან, თითქმის არ არის არანაირი კვლევა მხოლოდ ერთი კონკრეტული სპექტაკლის მხატვრობის ირგვლივ, რასაც ჩვენი თემა ისახავს მიზნად. სხვაგვარადაა ვითარება მიხეილ თუმანიშვილთან დაკავშირებით; მასალები მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ და, მათ შორის, ამ სპექტაკლთან დაკავშირებითაც მრავლადაა და უპირველესად მისხავე მოგონებებშია ჩართული. ის არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სპექტაკლის მხატვრული იერ-სახის შექმნის პროცესში, არამედ ხშირად თავადაც კარნაბობდა მხატვარს დეკორაციის

ძირითად დერბს. შესაბამისად, აშკარაა, რომ მისი ფაქტორის გათვალისწინება სპექტაკლის მხატვრობაზე მსჯელობისას არსებითია.

• **სცენოგრაფია მ. თუმანიშვილის სპექტაკლებში, ელევ თუმანიშვილი**  
ნაშრომში განხილულია სპექტაკლების მხატვრული, სახოვანი გადაწყვეტა, მხატვრისა და რეჟისორის ერთობლივი მუშაობის სპეციფიკა, თუ როგორ რეალიზდებოდა მხატვრისა და რეჟისორის ერთობლივი ჩანაფიქრი, როგორ გამოხატავდა მხატვრი რეჟისორისეულ იდეას.

## 1.10. ახალი არქიტექტურის განვითარების ისტორია



• „სამუზეუმო კვარტალი “ თბილისში (2014-2015), თამაზ ბერსამია ე.წ. „სამუზეუმო კვარტალი“ მდებარეობს რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში და მოიცავს რუსთაველის პროსპექტის, ა.ფურცელაძის ქუჩის, ლ. გუდიაშვილის ქუჩისა და შესახვევს შორის მოქცეულ ტერიტორიას. მისი განაშენიანება XIX ს-ის 40-იანი წწ-დან დაიწყო. XIX-XX საუკუნეების მანძილზე აქ სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციის შენობა-ნაგებობები აშენდა. მათი ნაწილი დღესაც არის, ზოგიერთი მათგანი კი აღარ არსებობს. მიუხედავად ამისა მათ გარკვეული კვალი დატოვეს როგორც ქალაქის ისტორიაში, ისე ამ პერიოდის არქიტექტურის განვითარებაში. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია აღნიშნული ტერიტორიის განვითარებისა და არქიტექტურის ისტორია. სამუშაო გეგმის თანახმად 2014 წელს დამუშავდა სპეციალური ლიტერატურა, 1850-იანი წლების დასაწყისიდან 1920-იანი წლების ჩათვლით პრესა, საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდებში დაცული გრაფიკული მასალა.

• **თელავის კულტურული მემკვიდრეობის დირექტულება (2013-2014),  
ლალი ანდრონიკაშვილი**

გამოკვლევა მოიცავს თელავში უკანასკნელ პერიოდში გაჩენილი ახალმშენებლობის მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს და მათი შესაბამისობის კვლევას ისტორიულ განაშენიანებასთან მიმართებაში; თელავში არსებული მემკვიდრეობითი ღირებულების ქართველი ფასეულობების ჩამონათვალს – თანდართული ფოტო-დოკუმენტაციით და დასკვნით ნაწილს ქ. თელავის კულტურული მემკვიდრეობის დათვალიერების ტურისტული მარშრუტებით (მიბმულს ქ. თელავის ინტერაქტიურ ციფრულ რუკაზე).

**• ხალხური ხუროთმოძღვრება და თანამედროვე პრობლემები  
ხუროთმოძღვრებაში, სამსონ ლეზაგა**

დღევანდელ ხუროთმოძღვრებაში ტრადიციის (მათ შორის ხალხური აღმშენებლობის ტრადიციის) აღქმა და გააზრება დიდწილად იგნორირებულია, თუმცა პოზიტიური მაგალითებიც არესებობს. 1) პირველი მაგალითი უკავშირდება ხუროთმოძღვარ ლერი ჩომახიძის მიერ აგებულ საცხოვრისს, რომლის დამკვეთი ხელოვნების ისტორიკოსი და ბიზნესმენი გელა ლეჟავაა. დიდ ჯიხაიშში აღმართულ ამ სრულებით თანამედროვე ნაგებობას ახასიათებს წარმატებული სინთეზირება, ერთი მხრივ, დარბაზული ხუროთმოძღვრებისა, და, მეორე მხრივ, კოლხური ოდის გამოცდილებისა. დარბაზთან არაპირდაპირი კავშირი ჩანს გვირგვინულ კონსტრუქციასთან ასოცირებულ, სივრცით სტრუქტურაში, მაღლივი კერის გამოკეთაში, შვეული დერძის მნიშვნელობაში; ოდა-სახლთან მიმართება ჩანს გახსნილობასიხალვათეში, ლანდშაფტთან შესისხლორცებაში, აივნის პოლიფუნქციურობაში. 2) მეორე მაგალითს წარმოადგენს ჩაკიდული ოხემების კამერული სამონასტრო კომპლექსი, ხუროთმოძღვარი: მეუფე დავითი (მახარაძე), ამბა ალავედელი. აქ დამაჯერებლადაა კონცენტრირებული სამონასტრო აღმშენებლობის ტრადიცია - განაშენიანება კომპაქტურია და ფუნქციურად გამართული. სუფეს უბრალოებისა და სულიერი სისადავის განწყობა, გარდა ტაძრებისა, ყურადღებას იქცევს საცხოვრებელი ნაგებობანი, რომელიც ასოცირდება კახეთის სახლთა სტრუქტურასთან (ნაშენი ქვა-აგურით, ან აგურით). მთელი კომპლექსი საუკეთესოდ ესადაგება გარემოს, მთლიანი კონცეფცია კი სიფაქიზითა და გემოვნებით იქცევს ყურადღებას.

**• დუშეთის ურბანული და არქიტექტურლი მემკვიდრეობა (2014-2015),  
მაია მანია**

სამუშაო მიზნად ისახავს ერთ-ერთი უძველესი ქართული ქალაქის დუშეთის კვლევას ურბანული და არქიტექტურული თვალსაზრისით. ნაშრომის მიზანია დუშეთის არქიტექტურის თავისებურებების დადგენა, ძელი, არაგვის ერისთავებისდროინდელი ფენების ძიება და აღნიშნული ფენების ადგილის განსაზღვრა მაზრისდროინდელი დუშეთის ქსოვილის ფარგლებში. მნიშვნელოვანია აგრეთვე XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული ქუჩების ქსელის სპეციფიკური ნიშნების გამოვლენა.

2014 წელს დუშეთის ისტორიულ ნაწილში შესრულდა საარქივო კვლევა და საგელე სამუშაო, მოძიებულ იქნა და დამუშავდა დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული დიდალი ფოტომასალა დუშეთის არქიტექტურის შესახებ. მომზადდა ტექსტის ნაწილი, რომელიც ეხება დუშეთში მოღვაწე ევროპელი არქიტექტორის საქმიანობას 1870-იან-1880-იანი წლებში.

**• თბილისის ცირკი 1801-1918 წლებში: ისტორია და არქიტექტურა (2014-2015),  
მანონ ლილუაშვილი**

თბილისის ცირკის შესახებ ეროვნულ არქივსა და პრესაში მოძიებული მასალების (პროექტები, ცნობები, რეკლამები) საფუძველზე ჩატარებულმა კვლევამ საინტერესო სურათი აჩვენა. გამოვლინდა თბილისში არსებული ცირკის შენობების (მათ შორის ხის დროებითი ნაგებობების) რაოდენობა, მათი მდებარეობა, მფლობელების და არქიტექტორების ვინაობა, აგების ისტორია და არქიტექტურის ხასიათი. ასევე გაირკვა თბილისში სხვადასხვა ქვეყნებიდან გასტროლებზე ჩამოსული დასებისა და მათ მიერ ჩატარებული სპექტაკლების მრავალფეროვნება. ჩატარებული კვლევა მნიშვნელოვანია, ვინაიდან კვლევის

შედეგად შუქი მოეფინა თბილისის ისტორიის დღემდე შეუსწავლელ ერთ-ერთ ასპექტს.

## 1.11. საპრიზო მასალის დამუშავება და კვლევა

- თ. ვირსალაძის "Роспись иерусалимского Крестого монастыря" თარგმანი, ლიმიტრი თუმანიშვილი

სრულად გადმოქართულებულია ტექსტი და ერთვის შენიშვნები, რომლებშიც მოტანილია ნაშრომში წარმოდგენილ დებულებებთან თუ მოსაზრებებთან დაკავშირებული უახლესი მონაცემები.

- 6. ალადაშვილის, გ. ალიბეგაშვილის, ა. ვოლსკაძას მონოგრაფიის 'Живописная школа Сванети', თბ., 1983 - კომენტირებული თარგმანი ქართულ ენაზე, მარინე გენია

რუსულიდან ქართულად ითარგმნა მონოგრაფია და დაერთო კომენტარები, რომელიც მითითებულია მონოგრაფიის დაბეჭდვის შემდეგდრონდელი პუბლიკაციები მეფის მხატვარ თევდორესა და წიგნში მოხმობილ სხვა მოხატულობათა შესახებ.

## 2. ძეგლთა აღმოჩენის და სამეცნიერო ინფორმაცია

ცენტრის ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფის მიერ 2014 წელს ჩატარებული სამუშაო:

- მომზადდა არქიტექტურის და კედლის მხატვრობის ძეგლთა აღწერილობა სამეცნიერო-საცნობარო ენციკლოპედიური გამოცემის – "საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის" მე-3 წიგნის II ნაწილისათვის. წიგნი გამოსაცემად მზადდება ირ. აბაშიძის სახ. ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციასთან თანამშრომლობით და უნდა გამოიცეს 2016 წელს. 2014 წელს სამუშაოები ჩატარდა თელავის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების არქიტექტურის და კედლის მხატვრობის ძეგლებზე – მომზადდა დაახლოებით 120 სტატია და რამდენიმე ათეული ნახაზი. სამუშაოები გაგრძელდება მომდევნო წელსაც.

- მუშაობა მიმდინარეობდა ინგლისურენოვან დიგიტალურ გზამკვლევზე - „ქართული არქიტექტურა – ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო“. დიგიტალური ფორმით (Adobe Photoshop) მომზადდა და არქივირებულია 3800 ფოტოსურათი და ნახაზი.

- სერიიდან - „ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლები საზღვარგარეთ“ - გამოსაცემად მომზადდა ორენოვანი ალბომი - „ხახული“, რომელიც გამოიცემა 2015 წელს.

- მუშაობა მიმდინარეობდა ფოტოსურათებისა და ნახაზების დიგიტალური არქივის შექმნაზე. სკანირებული და არქივირებულია რამდენიმე ასეული ფოტოსურათი და ნახაზი. სამუშაოები გაგრძელდება მომდევნო წელსაც.

### 3. არქივისა და გიბლიოთების სენტრი

**3.1. ცენტრის არქივში** გრძელდება საარქივო მასალის დამუშავება და სისტემატიზაცია. დამუშავდა ეკატერინე პრივალოვას არქივი.

**3.2. ცენტრის ბიბლიოთეკა.** თითქმის ოცწლიანი ინტერვალის შემდეგ ცენტრს მიეცა საშუალება განათავსოს 1991 წლის ხანძარს გადარჩენილი წიგნები სათანადოდ აღჭურვილ სივრცეში. ა/წ აგვისტოში ბიბლიოთეკის საცავებში დაიდგა ლითონის სტელაჟები (ხაწილობრივ კულტურის სამინისტროს დაფინანსებით, ძირითადად კი ცენტრის საკუთარი სახსრებით) და დაიწყო წიგნების სისტემატიზაცია, წიგნების დამუშავება, გაწმენდა, დახარისხება, სტელაჟებზე განთავსება; ახალი წიგნების რეგისტრაცია. ეს საქმიანობა 2015 წელსაც გაგრძელდება.



### 3.3. ცენტრის ვებ-გვერდი

ცენტრის ვებ-გვერდი მუდმივად ახლდება და იგსება ახალი მასალით (ოპერატორი: აზა ლობჟანიძე); [www.gch-centre.ge](http://www.gch-centre.ge)

### 4. სერგო ქობულაძის სახელობის ხელოვნების მემკლთა ფოტოფილისაციის ლაბორატორიის სამიანობა

2014 წელს ლაბორატორიამ შეასრულა შემდეგი სამუშაო:

- სლაიდოთეკის ფოტომასალის მაქსიმალური რეზოლუციით სკანირება და ციფრულ მატარებელზე გადატანა;
- დიგიტალიზირებული მასალის სისტემატიზაცია, ციფრულ მატარებელზე დაარქივება;
- მასალით სარგებლობის ოპტიმიზაციის მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა ქართული კულტურის ძეგლთა ამსახველი ელექტრონული ვერსიების თანამდევე მოკლე ელექტრონული ანოტაციების მომზადებაზე;
- ლაბორატორიის არქივის ბაზაზე დაიწყო გ. ჩუბინაშვილის ცენტრის თანამშრომელთა მიერ მოწოდებული ფოტომასალის ფონდის შექმნა;
- შესრულდა სამუშაოები ცალკეულ დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციების (კულტურის სამინისტრო, ეროვნული მუზეუმი,

საპატრიარქო და სხვ.) დაკვეთით, აგრეთვე ცენტრის  
თანამშრომელთათვის.

2014 წლის მანძილზე ლაბორატორიის სლაიდოთეკაში დაცული ფოტომასალა  
გამოყენებულ იქნა გამოფენებსა და გამოცემებში:

- სერიის - "ხალხები და კულტურები" - ფარგლებში მომზადებული წიგნი  
„ქართველები“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- „კულტურული მემკვიდრეობის განვითარებისათვის“, სახელმძღვანელო,  
ICOMOS/საქართველო;
- პრეზიდენტის სასახლეში გამართული აღდგომის დღესასწაულისადმი  
მიძღვნილი ფოტოგამოფენა, ორგანიზატორი: საქართველოს პრეზიდენტის  
ადმინისტრაცია;
- ალბომი - "ექვთიმე თაყაიშვილი", გამომცემლობა "არტანუჯი".
- მხატვარ ავთანდილ ვარაზის ნამუშევართა ელექტრონული არქივი;
- მუხრან მაჭავარიანის საყმაწვილი კალენდარი, გამომცემლობა  
"ინტელექტი";
- ალბომი: ფიროსმანი, გამომცემლობა "Infinit Art ", ავსტრია.

